

ცნობები არსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ

ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილ იქნა 2019 წლის 13 მაისს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3.
ჩატარების თარიღი:	2019 წლის 13 მაისი
ჩატარების დრო:	17სთ. 00 წთ.
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,637%

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

- საკითხი 1.** 2018 წლის სამუშაოს შედეგების წლიური ანგარიშისა და საზოგადოების 2018 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით დამტკიცების შესახებ;
საკითხი 2. საზოგადოების მოგების, მათ შორის დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) და ზარალის განაწილების შესახებ 2018 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით;
საკითხი 3. საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების შესახებ 2019 წლისთვის;
საკითხი 4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

I. დღის წესრიგის პირველ საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„დამტკიცდეს 2018 წლის სამუშაოს შედეგების წლიური ანგარიში და საზოგადოების 2018 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგება ფასს -ის მიხედვით დანართი #1-ის თანახმად.“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

II. დღის წესრიგის მეორე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„1. დამტკიცდეს საზოგადოების წმინდა მოგების შემდეგი განაწილება 2018 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით:

გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებლები	ათასი ლარი
გასული წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)(გადაანგარიშებული)	15 333

საანგარიშო პერიოდის გაუნაწილებელი წმინდა მოგება (დაუფარავი ზარალი)	27 628
გასანაწილებლად შეთავაზებული გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი), მათ შორის:	27 628
გასული წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)(გადაანგარიშებული)	0
საანგარიშო პერიოდის გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)	27 628
მოგების განაწილება, მათ შორის:	
სარეზერვო ფონდი	1 381
დივიდენდები	0
ინვესტიციები	0
გასული წლების ზარალის დაფარვა	0
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი	26 247

2. 2018 წლის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებზე არ იქნას გადახდილი დივიდენდები.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 75,38%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაწყვეტილება მიღებულია.

III. დღის წესრიგის მესამე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შედგენილი 2019 წლის შედეგების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის სს „თელასის“ აუდიტორად დამტკიცდეს EY Georgia LLC (საქართველო, თბილისი, 0105, კოტე აბხაზის ქ. №44, ს/კ 204441158).“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

IV. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭო არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

1) აბრამკოვი ალექსანდრე ევგენის ძე

- 2) ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე
- 3) კრილიჩევსკი ევგენი ვლადიმირის ძე
- 4) სამარინი სერგეი ვალენტინის ძე
- 5) ჩიქოვანი გიორგი ზაზას ძე
- 6) ტყემალაძე ირაკლი ზურაბის ძე

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 75,38%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაწყვეტილება მიღებულია.